




№ 17 (1339) სექტემბერი 1970

საქსუ


გამოცემის 47-ე წელი ფასი 20 კპ.

— თქვენზე ამოვან, სამ აღვილას მუშაობს შეთავსებითო, მარ-
ტალია?

— რას ექანით თქვენ მუშაობას? თვეში ერთხელ რომ მივალ და
ხელფასს ავიღებ?



უსიტყვოდ



— ცოტა გააუმჯობესეთ პურის ხარისხი, თორემ აპურის ქარხანად გადაგაქვეთებენ.

ნაკვეთები

სოხის რაიონის სოფელ ახალი-სიბულის კინომექანიკოსს ჰკითხეს: დღეს კლუბში რა სურათითაო და — იგივე: ახდილი ჭერი, წვიმა და მაყურებელთა უკმაყოფილო სახეებიო.

ღვინით გაბრუებულმა ტყიბულელმა აპოლონ ქასრაშვილმა, რომელმაც საჩხერის რკინიგზის სადგურში ხულიგნობა ჩაიდინა, განაცხადა: აქამდე ღვინოს მე ვსვამდი, ახლა ღვინო მე მსვამსო.

დუშეთის რაიონის სოფელ ანანურის კოლმეურნეობის მეცხვარეზე ილია ჭიკაიძეზე თქვეს: მან ოთხ ცხვარს მოჭრა თავი და ცხვრებმა მას მოჭრეს ...თავიო.

ზეინდრელ (ვანის რ-ნი) ბრაკონიერებს გივი ერისთავს, ბიჭიკო ხურციძეს, დურმიშხან და კონსტანტინე სალარიძეებს ინსპექტორებმა შუა წყალში მიუსწრეს და — რაღა წყალში ჩავვარდეთო.

მაჩხაანელებმა გიორგი ჯანაშვილმა და ვინელი მამლარაშვილმა თქვეს: სოფელ ოსაანში მცხოვრებ გოგიაშვილს ჩვენ სახლი „გავუსუფთავეთ“ და მან სახელი გაგვიჭუჭყიანაო.

სოფლების თვალისა და ხარტიშოს მცხოვრებლებს უკვირდათ: ნეტავ ელექტროდენი დღეში რა მანძილს გადის: აგერ ოთხი წელია მეზობელ სოფლიდან სინათლე გამოჰყავთ და ჩვენამდე ჯერაც ვერ მოაღწიაო.

წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალ ტაქსის მძღოლს ავთანდილ მაჭარაძეს ქუთაისელმა მგზავრებმა ამირან ჩირგაძემ და ნიკოლოზ მიქაძემ 80 მანეთი წაართვეს და უთხრეს: ერთ დღეში ამდენი ფული როგორ იშოვე, შენ თუ ხალხს არ ძარცვავო.

გვეგეტკორელ სოსო დანელიას ჰკითხეს: მეზობლის სახლის ფანჯრიდან ტელევიზორი რატომ გადმოიტანეო და — კარები დაკეტილი იყოო.

გურჯაანის რაიონის სოფელ დარჩეთის მალაზის გამგე-გამყიდველს ნათელა შაველაშვილს ვიტრინაზე ყველაფერი ლამაზად ეწყო, მხოლოდ ფასები ჰქონდა დამახინჯებული.

გაიონე შავერაშვილი

ტელესტუდიდან მოსაწვევი ბარათი არ მიმიღია და საერთოდ ასეთ რაძეს არც ველოდი, ვინაიდან მე არც ესტრადის მომღერალი, არც ცნობილი სპორტსმენი და არც მწერალი არ ვახლავართ. ფეხბურთის ჩვეულებრივი გულშემატყვიარი ვარ და მეტი არაფერი. ტელევიზიით გამოსვლა კი მაინც არ ამცდა. მაშინ ჯერ კიდევ მქონდა ფასიანი აბონემენტი და მუდმივი ადგილი ახალგაზრდა ლამაზი ქალის გვერდით. (საოცარია, მაგრამ ფაქტია, მასაც აბონემენტი ჰქონდა) ტელევიზორის ეკრანზე შემდეგნაირად მოვხვდი: იმ დღეს ერთადერთმა ბურთმა, ჩვენებმა რომ მეტოქის კარში გაიტანეს, მთელი სტადიონი გადარია. ვინ ვის კოცნიდა, ეშმაკიც ვერ გაარჩევდა. მეც ვიღაცას ვადავებხევე და სრულიად შემთხვევით ხელში ჩემი მეზობელი აბონემენტისანი ლამაზი ქალი შემჩნა. მამაცხონებულმა ტელეპერატორმა ტელეკამერა პირდაპირ ჩვენ დაგვიმიზნა და ასე ერთმანეთს ჩახვეულები მთელმა ქვეყანამ დაგვიჩანა რელიევიზორს კი სახლში ჩემი ცოლი, ორმოცი-წლის გაუთხოვარი და ოცდაათი წლის ორქმარგანაშვები ცოლისდებიც უყურებდნენ.

თამაშის შემდეგ შინ მშვენიერ ხასიათზე დავბრუნდი. კარები ღილით შევადე და ცოლი კივილით მეცა ყელში.

— მობრძანდა ვაჟბატონი! — აღერსით გააღრჭილა კბილები მან. თამაშში ყოველგვარი დაზვერვას გარეშე ჩავები. მარჯვედ მოვიგერიე პირველი მოულოდნელი შემოტევა და ვცადე შექმნილ ვითარებაში გავრკეველიყავ. მეორე ოთახიდან ვეტერანი ცოლისდა (ორმოცი წლის გაუთხოვარი) ეერუეიხინივით გამოქანდა და ცოლს მუნტიანივით წაშოკებულა. მივხვდი, ძალისმიერი თამაშით ვერაფერს ვაძლავებოდი. ტექნიკის გამოყენება დავაპირე ოღო არა. ახალგაზრდა პერსპექტიული ცოლისდა (ოცდაორი წლის, ორქმარგანაშვები) საყელოში მწვდა და დამითრია. ბურთზე კონტროლდაკარგულივით დავიბენი და ბაქოს სტადიონზე მოხვედრილი, „ნევთის“ მოწინააღმდეგე გუნდის გულშემატყვიარივით მოვიკუნტე. ვეტერანი ზეკლერივით თაურებზე რომ გადმოვიდა, ცუდ დღეში ჩავვარდი. ცოლმა ფეხსაცმელი წაიძრო და მიუღერივით შორიდან დაბომბვა დამიწყო. ახალგაზრდა პერსპექტიულმა ცოლისდამ ფეხი სტაილზივით დამიდო და ეუსტეიოსავით წავებორძიკდი. ჩისლენკოსავით ვცადე სამაგიეროს გადახდა, მაგრამ პელესავით წამაქციეს და კარგი მასაჟისტებივით ზელა დამიწყეს. ნეკნები მაკარონივით დამიმტერიეს, ბოლოს მიხვდნენ, კიდევ ერთი მაკარონიც რომ გამტეხოდა, საქმეს ჩააფლავებდნენ და შეჩერდნენ. ცოლმა შესტერნიოვივით „ჩისტელ-ჩიკობას“ მიჰყო ხელი, ჯიბეში ჩემი აბონემენტი იპოვა და ფეხბურთელის მინდვრიდან გაძევების მათუწყებელი ნიშანივით მალა ასწია. ტრავმირებული ფეხბურთელივით ხელით გამიტანეს მეორე ოთახში. კიდევ კარგი, ბესტივით ხელწასავლები თმა არ მქონდა. თორემ ბობი ჩარლტონზე უარესად გამუტუტავდნენ. შემდეგ დასხდნენ და კაჩალინ-რამსეი-შიონივით ჩემთან მოგებული თამაშის გარჩევას შეუდგნენ. შეხვედრის მთავარ ბომბარდირად ცოლი დაასახელეს, ხოლო აგრესიული სტუმრის პრიზი ცოლისდებმა თანაბრად გაიყვეს. დაადგინეს „ბომბარდირი“ წართმეული აბონემენტით წასულიყო სტადიონზე და „იმ კახას“ გასწორებოდა. ის დღეც მალე დადგა... წარგზავნილი სახლში გვიან დაბრუნდა. საჩხუბარი და გასაყოფი რა გვექონდა, ერთმანეთი გავიცანით და დავმეგობრდითო, მოულოდნელად განაცხადა მან.

— რომ იცოდეთ, როგორი დაქალი შევიძინე! — სიხარულს ვერ მალავდა იგი. — შევპირდი, ფეხბურთზე მეც ვივლი-მეთქი.

ასე დავკარგე სტადიონზე სიარულის უფლება. ჩემმა ცოლმა კი ახალი დობილი შეიძინა. დობილებმა ერთმანეთი მეტისმეტად შეიყვარეს, შემდეგ კი ფეხბურთს გარდა აქით-იქით სიარულსაც მოუხშირეს. ჩემი ქალბატონი შინ შუალამისას ბრუნდებოდა და თან ალკოჰოლის სურნელი მოჰქონდა. ამასობაში ნახევარი სეზონი მიიწურა. და აი, ერთ დღეს, ქუჩაში ნაცნობი სახე შევნიშნე, ვიცანი, სწორედ ის ლამაზი ქალი ვახლდათ, სტადიონზე ადგილი ჩემს გვერდით რომ ჰქონდა. იმანაც მიცნო.

— იცით, — მითხრა მან მისალმების შემდეგ, — არ მეგონა, თუ თქვენ და ჩემი ქმარი ერთმანეთს ასე შეეწყობოდით.

გაოცებისაგან პირი დავადე.

— ჩვენ რომ ის გაუგებრობა დავვემართა, — განაგრძო მან, — ჩემმა ქმარმა ტელევიზორში ნახა და მეორე თამაშზე თქვენთან საჩხუბრად წამოვიდა. მას შემდეგ მე სტადიონზე აღარ გყოფილვარ... პო, მართლა, დღეს კარნავალზე არ უნდა წასულიყავით?

გიჟივით გამოვვარდი სახლში. ცოლი შინ არ დამხვდა. იგი თავის „დობილთან“ ერთად პარკის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო კარნავალზე წასულიყო.


იასონ თაღიაშვილი



— არ დაქოქო, ვანო, ტაძრის დათვალეობა დაგვაშიწყდა!



— რაც შეეხება წარწერას და ჩუქურთმებს, სოფელში მნახავთ, სახლებშია ჩატანებული.



— ხელი და ფეხი მოსავლის მოყვანის დროს უნდა გავხმობდეთ, შაქროს, ახლა რას გიშვებოდა!

მინიატურა

- გუშინ ცირკში ვიყავი და გადავირიე კაცი!
- მაინც რა ნახე ასეთი?
- რა ვნახე და ერთმა ჯამბაზმა ჩაის ჭიქა წყლით გაავსო, მერე სული შევუბერა და ჭიქა ნახევრამდე დაიცალა.
- მაგ ფოკუსს მეც ვაკეთებ.
- გაჩერდი, თუ კაცი ხარ!
- მართლა გეუბნები. მოდი ავერ მივიდეთ და ერთი კათხა ლუდი დაგასხმევინოთ. მე სულს შევუბერავ და თუ შიგ კიდევ წვეთი დარჩეს, უნამუსო კაცი ვიყო.

იასონ თედიასვილი

ვიპტორ სლავინსკი

რალაც უნდა ვიღონოთ!

ბირველად კარტუზიანმა გაარტყა. ქერათმიანმა გაარტყითვე უბასუხა. კარტუზიანმა ისევ მოუქნია, მაგრამ ქერათმიანი განზე გახტა და შემდეგ შმაგივით ეცა... გამველეებს, რაღა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ მიუტოვებიათ მოჩხუბრები.

— როდის უნდა მოეღოს ბოლო ამ სისაძაგლეს? — თქვა მოკლეკაბიანმა გოგონამ.

კარტუზიანმა ქერათმიანს ყურის ძირში უთავაზა...
— მართალია! დროა ამ საქმეს რაიმე ეშველოს! — დაუდასტურა ათლეტური აგებულების ვაჟმა.

ქერათმიანმა მუცელში ამოკრა კარტუზიანს...
— ესენი კი არ უნდა ჩხუბობდნენ, ბიბლიოთეკაში უნდა ისხდნენ! — აღმოფთვას ვერ მალავს სქელბორტფელიანი ახალგაზრდა.

კარტუზიანმა კბილი ჩაუმტვრია ქერათმიანს...
— ღვინო და არაყი ზღვაში უნდა ჩაიქცეს, ბოთლები დაიმტვრეს! მაშინ რაღას დაღვევ? — თქვა ქალმა, რომელსაც ჩანთაში ცარიელი ბოთლები ეწყო. ქერათმიანმა წიხლები დაუშინა კარტუზიანს...

— რას ამბობთ, დეიდა! თითო ბოთლი 12 კაპიკი ღირს! — ხუმრობის დრო გამონახა შეავტუნა ბიჭმა და მარტო თვითონ მოკვდა სიცილით.

კარტუზიანი იცა და მიწას გააკრა ქერათმიანი...
— თვითმოქმედ წრეში უნდა ჩარიცხო ესენი! სცენაზე უფრო კარგად წარმოგვიდგენენ ლოთებმა და ხელიგნებმა! — წინადადება შემოიტანა გოგონამ, რომელიც რალაციტ კულტმუშაკს წააგავდა.

ქერათმიანი ყურებში სწვდა კარტუზიანს...
— ჩვენთან, სექციის მეცადინეობის დროს ასეთ იღვინოს რომ მიმართო, დისკვალიფიკაციაა ვერ გადაურჩები! — სთქვა პატარა ჩემოდნიანმა ახალგაზრდამ.

კარტუზიანი ქერათმიანს თმებში სწვდა და მისი თავის ასფალტზე რტყმევას მიპყო ხელი...

— რაღას ვუყურებთ, რაღას? ჩაიფეროთ ამათი გვარები და გაეგზავნეთ სადაც ჭერ არს! — შემოიტანა წინადადება ბოთლებიანმა ქალმა.

გოგონამ, რომელიც რალაციტ კულტმუშაკს წააგავდა, ის იყო ფანქარი და უბის წიგნაკი მოიმარჯვა, რომ ამ დროს...


წყლის ძლიერი ნაკადი მოხვდა სახეში ჭერ ქერათმიანს, ხოლო შემდეგ კარტუზიანს. მოულოდნელობისაგან დაბნეულმა მოჩხუბრებმა ერთმანეთს თავი ანებეს და სახის წმენდით სხვადასხვა მხარეს მოკუტაცხლეს.

ხოლო პატარა ბიჭი, რომელსაც ხელში სათამაშო, წყლის მსროლი პისტოლექტი ეჭირა, უკვე გადაბრუნდა ქუჩას დაუშვებელ ადგილას და კინაღამ ტროლეიბუსმა არ გაკრა მხარი.

— რატომ ტოვებენ ბავშვებს უმეთვალყუროდ ქუჩაში? — გაბრაზდა ვიწროკაბიანი გოგონა.


— რაღაც უნდა ვიღონოთ! — სთქვეს დანარჩენებმა.

თარგმანი ვასო რცხილაძის




— რას მახარებთ ქმარი პროფესორი მყავსო, თავის საქმეში ჩემი ქმარიც პროფესორია!


ნახ. ჯ. ლოლუასი



— ბიჭო, ცხენს და ცხენის გარჩევა ვეღარ უნდა ისწავლო ამხელა კაცმა?




ნიანგის უნივერსიტეტი უცხოური ფაკულტეტი




ცხრამეტი წლის ამერიკელი გოგონა ჯორჯინ გერშვინი ვირგინიის შტატიდან და სტეფანია რაიტი ნიუ-გემპშირიდან, აგრეთვე მათი თერამეტი წლის მეგობარი მედელიან დე იოგლი ნიუ-იორკის კენედის სახელობის საერთაშორისო აერობორტს ეწვივნენ. ისინი იამაიკაზე შევებულეზაბარებულ მშობლებს უნდა დახვედროდნენ. თვითმფრინავის დაჯდომამდე გადაწყვიტეს უქმად არ დაეკარგათ დრო და მალე მათ თავზევით სახელდახელოდ დაწერილი პლაკატი აფრიალდა: „ყოველი კოცნა თითო დოლარი!“

როგორც ასოშეიტედ პრესი იტყობინება, მაღალი, ღიაფერთმიანი გოგონების საკოცნლად მგზავრების დიდი რივი გაიჭიმა. მავრამ საზრიანმა და მოხერხებულმა გოგონებმა მხოლოდ ოთხი დოლარი ჩაიჯიბეს. მეტი ფულის გაცეებებში აერობორტის თანამშრომლებმა შეუშალეს ხელი.

პენტაგონის „ელექტრონულ ტვინს“ — დიდ ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანას — დაავალეს განესაზღვრა, როდის გაიმარჯვებდნენ ამერიკელი ჯარისკაცები ვიეტნამში. წინასწარ მანქანას შეერთებული შტატების მიერ ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე წარმოებული ომის შესახებ სხვადასხვა ოფიციალური მონაცემები მიაწოდეს. ამ ინფორმაციის გადამუშავების შემდეგ „ელექტრონულმა ტვინმა“ დაასკვნა, რომ აშშ გაიმარჯვებს... 1966 წელს. ვფიქრობთ, სრულიადაც არ არის გასაკვირი მანქანის შეცდომა, ვინაიდან ვიეტნამში ავანტიურის „პროგრამირება“ მას არ მოუხდენია.



ამას წინათ მარსელის ცენტრში ღამით, ქუჩაში, პოლიციამ დედაშობილად მოსეირნე კაცი დააკავა. უცნაური სეირნობის მოყვარულმა განაცხადა, რომ ტიტლიკანად გავლილ ყოველ კილომეტრში სეირის მოყვარულები მას ას ფრანკს დაპირდნენ. მისი აზრით, პოლიცია მეტისმეტად ადრე ჩაერია საქმეში და გამდიდრების წყარო მოუპოო.



ნ.ბ. ზ. ლომიძისა